„ვამტკიცებ“

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“

დირექტორი: ლიანა კვარაცხელია

2024 წლის 29 იანვრის 40/ძ ბრძანების შესაბამისად

პროგრამა სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობის (პროგრამის კოდი 06 27 03) და მისი ქვეპროგრამა „აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების/გუნდების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის კოდი: 06 27 03 08

ქვეპროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ბერიანიძე

ქვეპროგრამის კოორდინატორი: ანა კორკელია

ქვეპროგრამის კოორდინატორი: შოთა გუტიკაშვილი

თბილისი

-2024-

მთავარი საინფორმაციო გვერდი

ქვეპროგრამის დასახელება:

აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების/გუნდების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 27 03 08

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“ /ს.კ 205390254/

ქვეპროგრამი ბიუჯეტი:

დამტკიცებული ბიუჯეტი	**განხორციელების პერიოდი**
180 000	I,II,III,IV კვარტალი

ქვეპროგრამის აღწერა და სამიზნე ჯგუფი:

ქვეპროგრამა გულისხმობს იმ სპორტული გუნდების/კლუბების (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი) ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც ასპარეზობენ აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით. ფინანსური მხარდაჭერა გუნდებს/კლუბებს მისცემს იმის შესაძლებლობას გაუმკლავდნენ იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელიც ესაჭიროება გუნდებს/კლუბებს ფუნქციონირებისთვის (მაგალითად: სპორტული ინვენტარი და ეკიპირება, ტრანსპორტირება, დავალიანება, საწევრო, იჯარა, კვება, სასტუმროს ხარჯი, სამედიცინო მომსახურების ხარჯი და სხვა საჭიროებები, რომელიც აუცილებლად ესაჭიროება გუნდს/კლუბს.) ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიმღები სუბიექტი (შემდგომში ასევე მოხსენიებული როგორც „დაფინასების მაძიებელი“) შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე 2024 წლის 01 იანვრამდე რეგისტრირებული იურიდიული პირები (მხოლოდ სპორტული კლუბები/გუნდები), რომლებიც ასპარეზობენ აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით. დაფინასების მიმღების სუბიექტი არ შეიძლება იყოს ის გუნდი/კლუბი, რომელიც 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა სააგენტოს სხვა ქვეპროგრამის ფარგლებში. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში

დაფინანსების მიმღები სუბიექტი წლის განმავლობაში სარგებლობს სააგენტოს მხოლოდ ამ ქვეპროგრამით.

შენიშვნა: დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ამ კომპონენტში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ვალდებულების ან დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია; დავალიანება ან ვალდებულება წარმოშობილი უნდა იყოს 2024 წლის 01 იანვრიდან. ქვეპროგრამა 2024 წლის 01 იანვრამდე წარმოშობილი ვალდებულებებისა და დავალიანებების დაფარვას არ ითვალისიწინებს. ქვეპროგრამა ასევე არ ითვალისწინებს იმ დავალიანებისა და ვალდებულებების დაფარვას, რომლის შედეგადაც გუნდს/კლუბს ადევს/დაედება ყადაღა ან ინკასო.

ქვეპროგრამის მიზნები და ამოცანები:

ა) საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციისა და განვითარების მხარდაჭერა;

ბ) აფხაზეთის სახელით (აფხაზეთთან დაკავშირებული) მოასპარეზე გუნდების/კლუბების ფინანსური მხარდაჭერა;

გ) სპორტისა და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

დაფინანსებისთვის განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმები:

ა) აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით ასპარეზობა;

ბ) ტრადიციული სპორტის სახეობა (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი);

გ) კლუბი რეგისტრირებული უნდა იყოს 2024 წლის 01 იანვრამდე;

დ) დაფინასების მიმღების სუბიექტი არ შეიძლება იყოს ის გუნდი/კლუბი, რომელიც 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა სააგენტოს სხვა ქვეპროგრამის ფარგლებში.

ქვეპროგრამის განხორციელება:

ა) ქვეპროგრამის განხორციელებისას თანხის მიმღებ სუბიექტსა და დაფინასების ოდენობას განსაზღვრავს ქვეპროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი სპეციალური კომისია დაფინანსების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციებისა და ქვემოთ მოცემული #1 ცხრილის შესაბამისად.

#1 ცხრილი

ფეხბურთი (კაცთა)	
ეროვნული ლიგა ან ეროვნულ ლიგაში მოთამაშე გუნდისთვის სავალდებულო ახალგაზრდული გუნდები[1] (კლუბი ირჩევს ერთ-ერთ ვარიანტს).	ეროვნული ლიგა არაუმეტეს 100 000 ლარისა ან ახალგაზრდული გუნდების ჯამი არაუმეტეს 80 000 ლარისა.
ეროვნული ლიგა 2 ან ეროვნულ ლიგა 2-ში მოთამაშე გუნდისთვის სავალდებულო ახალგაზრდული გუნდები (კლუბი ირჩევს ერთ-ერთ ვარიანტს).	ეროვნული ლიგა 2 არაუმეტეს 60 000 ლარისა ან ახალგაზრდული გუნდების ჯამი არაუმეტეს 60 000 ლარისა.
ეროვნული ლიგა 3 ან ეროვნულ ლიგა 3-ში მოთამაშე გუნდისთვის სავალდებულო გუნდები (კლუბი ირჩევს ერთ-ერთ ვარიანტს).	ეროვნული ლიგა 3 არაუმეტეს 45 000 ლარისა ან ახალგაზრდული გუნდების ჯამი არაუმეტეს 45 000 ლარისა.
ეროვნული ლიგა 4 ან ეროვნულ ლიგა 4-ში მოთამაშე გუნდისთვის სავალდებულო გუნდები (კლუბი ირჩევს ერთ-ერთ ვარიანტს).	არაუმეტეს 35 000 ლარისა
რეგიონ ლიგა	არაუმეტეს 25 000 ლარისა
ჭაბუკთა ლიგა (U11-U21)	არაუმეტეს 20 000 ლარისა
რეგიონალური ფედერაციების მიერ ეგიდირებული ბავშთა ტურნირები (რეგიონალური გათამაშებები)	არაუმეტეს 5 000 ლარისა

[1] **ახალგაზრდული გუნდები** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების დებულებები უეფას საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის 2023 წ. გამოცემის პირველი მუხლის მიხედვით: „ეროვნული ლიგის ფეხბურთის კლუბებისთვის, სავალდებულოა უეფა-ს ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა, რაც ნიშნავს, რომ ისინი შეფასდებიან, როგორც უეფა-ს ლიცენზიის მაძიებლები“. ამავე დებულების მე-17 მუხლის მიხედვით, ლიცენზიის მაძიებელს საკუთარ იურიდიულ სტრუქტურაში უნდა ჰყავდეს მინიმუმ შემდეგი ახალგაზრდული გუნდები: მამაკაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის: ა) 10-დან 21-წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში (ე.ი. U11-U21) – ჭაბუკთა სულ ცოტა ოთხი გუნდი; გ) 10-წლამდე (ე.ი. U10) ასაკის ბავშვთა სულ ცოტა ერთი გუნდი ან ამ ასაკობრივი კატეგორიისთვის ორგანიზებულ ფეხბურთში ჩართულობა“.

ფეხბურთი (ქალთა)	
ქალთა ლიგა ან ქალთა ლიგა 1	არაუმეტეს 15 000
ქალთა ლიგა 2	არაუმეტეს 10 000

კალათბურთი (ქალთა/კაცთა)	
სუპერ ლიგა	65 000
ა ლიგა	45 000
U 22	15 000
U 20	10 000
U 18	7 000

რაგბი	
დიდი 10	25 000
I ლიგა	20 000
რეგიონ ლიგა	15 000
ჭაბუკთა „ა“/„ბ“ ლიგები (U9-U17)	10 000
ბავშვთა ფესტივალები	8 000

შენიშვნა: განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, კომისია მხედველობაში მიიღებს დაფინანსების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან, გუნდის საჭიროებებიდან და ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ოდენობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუკი დაფინანსებლის მაძიებლების მიერ მოთხოვნილი თანხა საერთო ჯამში აჭარბებს ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ოდენობას, კომისია უფლებამოსილია კენჭისყრით გადაანაწილოს თანხები (ასეთ შემთხვევაში, თანხის გადანაწილების პრინციპს ირჩევს კომისია და უყრის კენჭს).

ქვეპროგრამის ღონისძიებები (დეტალურად):

ა) სააგენტოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსდება ინფორმაცია ქვეპროგრამის შესახებ;

ბ) განცხადებების მიღება იწარმოებს სააგენტოს ვებგვერდსა და სოციალური ქსელით გამოცხადებულ ვადებში, რომელიც არ უნდა იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები;

გ) შეიქმნება სპეციალური კომისია;

დ) კომისია განიხილავს შემოსულ განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში ოქმის სახით.

ე) დაფინანსებულ გუნდებთან/კლუბებთან დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება, ხოლო ის გუნდი/კლუბი, რომელიც ვერ მიიღებს დაფინანსებას ეცნობება წერილობით.

ვ) დაფინანსების მიმღებ გუნდებთან/კლუბებთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სააგენტო გუნდის/კლუბის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე ახდენს თანხის ჩარიცხვას.

ზ) საბოლოოდ გუნდებთან/კლუბებთან ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

	ღონისძიების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	ინფორმაციის განთავსება												
2	განაცხადების რეგისტრაცია												
3	კომისიის შექმნა												
4	განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება კომისიის მიერ												
5	ხელშეკრულების გაფორმება												
6	დაფინანსება												
7	აუდიტორული დასკვნის წარმოდგენა და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება												

დაფინანსების მაძიებელს სააგენტოში მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

ა. დაფინანსების მისაღებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა (მხოლოდ სპორტული კლუბები/გუნდები) წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68 (რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ განაცხადებისა და დამატებითი დოკუმენტაციების მიღება განმცხადებლის ინიციატივით დაუშვებელია).

ბ. განცხადებას უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი შემდეგ დოკუმენტაციებთან ერთად:

ბ.ა საბანკო რეკვიზიტები;

ბ.ბ განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (ამონაწერი განახლებული უნდა იყოს განცხადების შემოტანიდან ბოლო ერთი კვირის განმავლობაში);

ბ.გ შესაბამისი ფედერაციების მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც მოცემული იქნება გუნდების შესახებ ინფორმაცია (მაგ: რომელი გუნდი, რომელ ლიგაში თამაშობს და ა.შ).

ბ.დ კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ქვეპროგრამასთან დაკავშირებით განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის, ვიზუალური მასალისა და სხვა ინფორმაციის წარდგენა;

გ. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის შესაბამისობას განცხადების კომისიისთვის წარდგენამდე ამოწმებს ქვეპროგრამის კოორდინატორი/კოორდინატორები.

ქვეპროგრამის განხორციელება:

ა) ქვეპროგრამის განხორციელება ხდება ამ წესის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსიპ კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დირექტორი.

ბ) ქვეპროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრულ საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში, ქვეპროგრამის ბენეფიციარებთან სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს და აწარმოებს მათთან ანგარიშსწორებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ა) აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით მოასპარეზე გუნდების/კლუბების ფინანსური მხარდაჭერა.

ბ) აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელის გატანა საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ა) შემოტანილი განცხადებების რაოდენობა;

ბ) დაფინანსებული გუნდების/კლუბების რაოდენობა;

გ) ტურნირებში/ჩემპიონატებში/შეჯიბრებებში გუნდების/კლუბების მონაწილეობა;

დ) გუნდების/კლუბების შედეგები;

ანგარიშგება:

ა. დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით წარმოადგინოს სააგენტოსგან მიღებული თანხის მიზნობრივად ხარჯვის თაობაზე შესაბამისი აუდიტორული დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სერთიფიცირებული და ლიცენზირებული აუდიტორული ფირმის მიერ.

ბ. აღნიშნული აუდიტორული მომსახურების ანაზღაურება დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შეუძლია დაფინანსების ფარგლებშიც შესაბამისი ინვოისის წარმოდგენის შემთხვევაში.

გ. აუდიტის დასკვნას თან უნდა ერთვოდეს ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია, რის საფუძველზედაც დაიწერა დასკვნა (სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შეძენის შემთხვევაში აუცილებელია აუდიტორმა განახორციელოს ვიზიტი გუნდის/კლუბის იურიდიულ მისამართზე და დასკვნას დაურთოს შეძენილი ეკიპირებისა თუ ინვენტარის ფოტო მასალა და ვიზიტის შესახებ აღნიშნოს დასკვნაში).

შესაძლო რისკები:

ა) შემოსული განაცხადების სიმცირე;

ბ) გუნდის მიერ ისეთი სახელის შეცვლა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული აფხაზეთთან;

გ) გუნდის დისკვალიფიკაცია;

დ) ბენფიციარის მხრიდან თანხების აუთვისებლობა;

ე) ბენეფიციარის მხრიდან შესაბამისი აუდიტორული დასკვნის დაგვიანებით ან საერთოდ არ წარმოდგენა;

ვ) გუნდს/კლუბს ადევს/დაედება ყადაღა ან ინკასო.

კომისიის მუშაობისა და ქვეპროგრამის განხორციელების წესი:

ა) ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით შექმნილი კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობას ახორციელებს „კომისიის მუშაობისა და ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ შესაბამისად, რომელი წესიც არის ქვეპროგრამის განუყოფელი ნაწილი.